ეფექტიანობა – უმოკლესი გზა ბიზნესის მწვერვალებისაკენ



აზიკო სისვაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი

ეფექტიანობა *ბიზნესის უზენაესი მიზნის - მოგების მაქსიმიზაციის ყველაზე რეალური გზაა, დანარჩენი საშუალებები, როგორიცაა:* ***გასალების მასშტაბების გადიდება, ფასების მომატება და სხვა, წარმოებისა და ბაზრის უმეტესი ჯანონებითაა შეზღუდული და ამდენად, ბიზნესისათვის ხშირად მიუღწეველია.*** *ამ პირობებში ეფექტიანობა გვევლინება ჯადოსნურ ჯვერთხად, რომლის წინაშე ბიზნესის წარმატებათა ყველაზე მჭიდროდ დახშული ჯარებიც ჯი უმტკივნეულოდ იხსნება. მაგრამ ამის მიღწევა მხოლოდ ეფექტიანობის კატეგორიის ბუნების საფუძვლიანი გამოკვლევითაა შესაძლებელი.*

ეფექტიანობის არსის გარკვევა პირველ რიგში მისი უაღრესად რთული შინაგანი სტრუქტურის შესწავლას მოითხოვს. თუ ამ კატეგორიას ეროვნული ეკონომიკის მასშტაბით განვიხილავთ, მაშინ იგი მოიცავს **მაკროეკონომიკური კვლავწარმოების ერთიანი პროცესის ეფექტიანობას, სადაც წარმოების, ფულად-სასაქონლო მიმოქცევის და მოხმარების სფეროთა თვისებრივი მდგომარეობა და ფუნქციონირების შედეგიანობა იგულისხმება.** მაკროეკონომიკის ამ სფეროებში საქმიანობენ ბიზნესის სამეურნეო სუბიექტები: ფირმები, სავაჭრო ობიექტები, კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, ბირჟები, საინვესტიციო ფონდები, საოჯახო მეურნეობები და სხვა.

არსის თვალსაზრისით ეფექტიანობის კატეგორია გვიჩვენებს ეკონომიკის სისტემის ფუნქციონირების თვისებრივ მდგომარეობას და აისახება ისეთ პროცესებში, როგორიცაა: ეკონომიკის ინტენსიფიკაცია, საბაზრო მექანიზმის მუშაობა, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმის შედეგიანობა და სხვა. მოვლენის თვალსაზრისით ეფექტიანობის კატეგორია ასახავს სამეურნეო პრაქტიკაში მისი არსებობის ცალკეულ ფორმებს და წარმოების ფაქტორთა შედეგიანობის მაჩვენებლებს. შესაბამისად, **ბიზნესის პრაქტიკაში ეფექტიანობის კატეგორია თანაფარდობითი რაოდენობრივი მაჩვენებლების სახით გვევლინება, რომლებიც ეკონომიკური, სოციალურ და ტექნიკური ეფექტიანობის ჯგუფებად იყოფიან.** ეფექტიანობის ამ ფორმებს საფუძვლად უდევს წარმოების ეკონომიკური, სოციალური და ტექნიკური შედეგების შეფარდება მათ გამომწვევ დანახარჯებთან. ამასთან, სამეურნეო საქმიანობის შედეგები და დანახარჯები შეიძლება მოცემული იყოს აბსოლუტური ან საზღვრითი სიდიდეების (ნაზარდების) სახით. ჩვენთან ეფექტიანობის მაჩვენებლებს ტრადიციულად აბსოლუტურ სიდიდეთა შეფარდებით ანგარიშობენ, დასავლეთის ქვეყნებში – საზღვრით სიდიდეთა შეფარდებით, რაც გაცილებით ტევადი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო გამოკვლევებსა თუ სახელმძღვანელოებში მოგებას **ეფექტიანობის მაჩვენებლად** მიიჩნევენ, რაც პრინციპულად ეწინააღმდეგება ეფექტიანობის კატეგორიის არსს. ამ კატეგორიის ბუნებიდან გამომდინარე, **მოგება ბიზნესის შემაჯამებელი შედეგობრივი მაჩვენებელია და არა შედეგიანობის, ანუ ეფექტიანობისა.**

ეფექტიანობის კატეგორიის სრულად გაგებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს განისაზღვროს:

პირველი, რამდენად ეფექტიანია მოცემული წარმოების ფაქტორი მის წინამორბედ ან ანალოგიური დანიშნულების სხვა ფაქტორთან შედარებით, როგორც მწარმოებლურობის (სახმარი ღირებულების), ისე მასზე გაწეული ერთობლივი დანახარჯების (ღირებულების) თვალსაზრისით;

მეორე, რამდენად ეფექტიანად ვიყენებთ მოცემული სახის წარმოების ფაქტორს მოხმარების პროცესში.

კვლევის პირველი მიმართულება გვიჩვენებს წარმოების ფაქტორთა კვლავწარმოების ეფექტიანობას მისი გამოყენებისაგან დამოუკიდებლად,

ხოლო მეორე მიმართულება განსაზღვრავს მათი გამოყენების ეფექტიანობას საწარმოო მოხმარების პროცესში. შესაბამისად, ეფექტიანობის ერთიანი კატეგორია თავის თავში ორ სტრუქტურულ ელემენტს – **კვლავწარმოების ეფექტიანობასა და გამოყენების ანუ საწარმოო მოხმარების ეფექტიანობას მოიცავს.**

ეფექტიანობის ეკონომიკური კატეგორია, როგორც თვისებრივი და რაოდენობრივი მხარის ერთიანობა, ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია და განსაზღვრავს ძირითადი მიზნის მიღწევის ხარისხს და, ამდენად, მისი პროგრესულობის საზომს წარმოადგენს.

ეფექტიანობის კატეგორია ეკონომიკის სისტემაში შემდეგ ფუნქციებს ასრულებს:

– ეფექტიანობა ეკონომიკის სისტემის პროგრესულობის კრიტერიუმია;

– ეფექტიანობის ზრდა შემოსაზღვრული წარმოების ფაქტორებით დამატებითი დოვლათის შექმნის და ეკონომიკის ზრდის წყაროა;

– ქმნის ბიზნესის სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის ძირითადი მიზნის –მოგების მაქსიმიზაციის პირობებს;

– გვაძლევს ამომწურავ ინფორმაციას ეკონომიკის სისტემის და ცალკეული სამეურნეო სუბიექტების ფუნქციონირების თვისებრივი მდგომარეობის შესახებ;

– ეკონომიკის სისტემის ყველა იერარქიულ დონეზე სამეურნეო პროცესების რეგულირების ინფორმაციულ ბაზას წარმოადგენს, რომელიც იგივე როლს ასრულებს ეკონომისტისათვის, რასაც სამედიცინო ანალიზის შედეგები ექიმისათვის.

საბაზრო ეკონომიკაში წარმოების ეფექტიანობის ამაღლების შემდეგი ძირითადი მიმართულებები არსებობს:

პირველი, წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფა;

მეორე, წარმოების ფაქტორთა რაციონალური კომბინაცია;

მესამე, წარმოების პროცესის ეფექტური ორგანიზაცია;

მეოთხე, ეკონომიკის დარგთა შორის წარმოების ფაქტორთა ოპტიმალური განაწილება;

მეხუთე, თავისუფალი კონკურენციის შენარჩუნების საფუძველზე საბაზრო მექანიზმის ყოველმხრივი დაცვა და მონოპოლიზმის შეზღუდვა;

მეექვსე, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამების შემუშავება და პრაქტიკული რეალიზაცია.

ეროვნული წარმოების ეფექტიანობის გადიდების უზრუნველყოფა მხოლოდ პროგრესულად განვითარებად ეკონომიკას შეუძლია, რაც მის აყვავებასა და მოსახლეობის მატერიალური, სოციალური და სულიერი კეთილდღეობის მაღალ დონეს უზრუნველყოფს. ეფექტიანობის დაბალი დონე, განსაკუთრებით მისი შემცირების ტენდენცია, ეკონომიკის სრულ ნგრევას და სოციალურ-პოლიტიკურ ქაოსს იწვევს. როდესაც ეკონომიკის ესა თუ ის სისტემა ამოწურავს წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ზრდის შესაძლებლობას – იგი არსებობას წყვეტს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნული წარმოების ეფექტიანობის ცვლილების მიზეზების კვლევა ეკონომიკის მეცნიერების ფუნდამენტურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება.

ეფექტიანობის კატეგორიის ძირითადი ნიშნების, ფუნქციების, შინაგანი სტრუქტურული ელემენტებისა და მათ შორის არსებული კავშირების ანალიზი ამ კატეგორიის ზოგადი განმარტების ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა:

ეროვნული წარმოების ეფექტიანობა ეკონომიკის თვისებრივი მდგომარეობის და მისი შედეგიანობის ამსახველი კატეგორიაა, რომელიც გვიჩვენებს წარმოების ძირითადი მიზნის მიღწევის ხარისხს განვითარების მოცემული ეტაპის შემოსაზღვრულ შესაძლებლობათა პირობებში და, ამდენად, ამ სისტემის პროგრესულობის საზომს წარმოადგენს.

ეფექტიანობის ამაღლების ობიექტური აუცილებლობა ყველა ისტორიულ ეპოქაში არსებობდა. მისი საერთო სოციალურ-ეკონომიკური საფუძველია მოთხოვნილებათა ზრდის კანონის მოქმედება წარმოების ფაქტორების და ტექნიკურ შესაძლებლობათა შეზღუდულობის პირობებში, რაც საზოგადოებას ყოველთვის და ყველგან აიძულებდა, რომ მაქსიმალური სამეურნეო შედეგების მიღების ახალი, უფრო ეფექტური საშუალებები მოეძებნა.

ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის ობიექტურ აუცილებლობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კონკურენციული ბრძოლის ფაქტორიც, რომლის დროსაც ერთმანეთს უპირისპირდება არა მარტო სხვადასხვა კლასების, არამედ ერთი კლასის წარმომადგენელთა ეკონომიკური მოტივები. ამ თვალსაზრისით, საზოგადოების განვითარების ისტორია დოვლათის მითვისებისათვის ბრძოლის ისტორიას წარმოადგენს, ხოლო ბრძოლის სხვა ფორმების – პოლიტიკური, იდეოლოგიური თუ რელიგიური ბრძოლის მთავარი მიზეზი დოვლათის მითვისება, ე.ი. ეკონომიკური მოტივებია.

დოვლათის მითვისებისათვის ბრძოლა წარმოებდა ერთი მხრივ ცალკეულ კლასებსა

და თვით კლასებს შიგნით, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანსა და ბუნებას შორის. ეს ბრძოლა კაცობრიობის განვითარების ყოველ ისტორიულ ეტაპზე ადამიანებს აიძულებდა ფიზიკური და სულიერი ენერგიის მინიმალური დანახარჯებით ეწარმოებინა რაც შეიძლება მეტი მატერიალური დოვლათი, რომელიც არა მარტო მათ ფიზიკურ არსებობას, არამედ დოვლათის მითვისებისათვის ბრძოლაში გამარჯვებასაც უზრუნველყოფდა. ეროვნული წარმოების ეფექტიანობის ზრდის ობიექტური მიზეზები მომავალშიც მანამ დარჩება, ვიდრე კაცობრიობა იარსებებს. სწორედ ამიტომ ეფექტიანობა ეკონომიკის მეცნიერების მარადიულ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება.

საწარმოო პროცესების მრავალფეროვნება და სირთულე ეფექტიანობის მრავალრიცხოვან ფორმათა არსებობას განაპირობებს. ისინი თავის მხრივ ეფექტიანობის დამოუკიდებელ მაჩვენებელთა სისტემებს მოიცავენ. დროსა და სივრცეში წარმოების შედეგებისა და დანახარჯების სხვადასხვა სახეების შესაბამისად ეფექტიანობის გამოვლენის შემდეგი ფორმები არსებობს:

პირველი, კონცეპტუალური მიდგომის თვალსაზრისით, არსებობს: **წარმოების ფაქტორთა შეფარდებითი ეფექტიანობა,** რომელიც მათი შედეგიანობის (სარგებლიანობის) ამა თუ იმ დონეს ახასიათებს და მაქსიმალურად შესაძლო პოტენციური ეფექტიანობა, ანუ ეკონომიკური ოპტიმუმი;

მეორე, შედეგების მიღების დროის და ადგილის შესაბამისად წარმოების ფაქტორების კვლავწარმოებისა და გამოყენების ეფექტიანობის ფორმებს განასხვავებენ;

მესამე, წარმოების შედეგების სახეების მიხედვით ეკონომიკური, სოციალური და ტექნიკური ეფექტიანობის ფორმები განიხილება;

მეოთხე, წარმოების დანახარჯებისა და შედეგების მასშტაბების მიხედვით გამოითვლება:

– წარმოების ცალკეული ფაქტორების, ანუ კერძო ეფექტიანობა;

– წარმოების რამდენიმე ფაქტორის ეფექტიანობა, ანუ სინთეზური ეფექტიანობა;

– წარმოების ყველა ფაქტორის ჯამური, ანუ კრიტერიული ეფექტიანობა.

მეხუთე, დანახარჯების გაწევის დროის მიხედვით წარმოებაში შემდეგი სახის ხარჯები და, შესაბამისი, ეფექტიანობის ფორმები გამოიყოფა:

– დანახარჯები პერსპექტიული წარმოების ფაქტორების შექმნაზე, ანუ ინვესტიციები წარმოების გაფართოებაზე, ტექნიკურ გადაიარაღებაზე ან ახალ საწარმოთა მშენებლობაზე. დანახარჯების ამ ფორმას ინვესტიციების ეფექტიანობა შეესაბამება;

– დაბანდებული რესურსები, ანუ ერთდროული დანახარჯები, რომლებიც მუდმივად ფუნქციონირებენ წარმოების პროცესში და მის უწყვეტობას უზრუნველყოფენ. დანახარჯების ამ ფორმის შესაბამისად ძირითადი კაპიტალის, საბრუნავი კაპიტალის, საბრუნავი საშუალებების და ინვესტირებული ხელფასის ეფექტიანობის მაჩვენებლები გამოიყენება, რომლებიც ერთდროული დანახარჯების ეფექტიანობას ახასიათებენ;

– წარმოების ფაქტორების მიმდინარე დანახარჯები, რომელსაც მიეკუთვნება სამუშაო ძალისა და შრომის საგნების ხარჯი, აგრეთვე ძირითადი კაპიტალის ფიზიკური ცვეთის ღირებულება. დანახარჯების ამ ფორმას მიმდინარე დანახარჯების ეფექტიანობა შეესაბამება.

წარმოების ეფექტიანობის უზოგადესი ფორმებია ეკონომიკური, სოციალური და ტექნიკური ეფექტიანობა, რომელთა არსებობა წარმოების შესაბამისი შედეგებითაა გაპირობებული.

წარმოების ეკონომიკური ეფექტი მოიცავს უშუალოდ მის მატერიალურ სამეურნეო შედეგებს, რომლებიც ღირებულებითი სახით სასაქონლო პროდუქციის, მთლიანი შემოსავლის და მოგების მაჩვენებლებით გამოისახება.

წარმოების სოციალური ეფექტი მოიცავს როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ შედეგებს. მატერიალურ ელემენტებს მიეკუთვნება მოხმარების საგნები, რომლებიც ადამიანთა სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ხმარდება, ხოლო არამატერიალურ შედეგებში იგულისხმება ადამიანთა მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის დონე, ცხოვრების ხარისხი, სიცოცხლის ხანგრძლივობა, ჯანმრთელობის, განათლებისა და კულტურის დონე, სოციალური თანასწორობის ხარისხი, თავისუფალი დროის არსებობა და სხვა.

წარმოების ტექნიკური ეფექტიანობა ცალკეული მექანიზმების ან მთელი ტექნიკური სისტემების ფუნქციონირების შედეგიანობას ასახავს და ისეთი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით გამოიხატება, როგორიცაა: მოწყობილობათა მარგი ქმედების კოეფიციენტი, მოწყობილობის სიმძლავრის ერთეულზე წარმოებული პროდუქცია და სხვა.

ეფექტიანობის ბოლო სამ ფორმას შორის ბიზნესის სამეურნეო სუბიექტები პრიორიტეტს ეკონომიკურ ეფექტს –

მოგებას ანიჭებენ, ხოლო მაკროეკონომიკურ სისტემაში უპირატესობა სოციალურ ეფექტიანობას ეკუთვნის, რადგან იგი ეროვნული წარმოების უშუალო მიზანს შეადგენს. ამ დონეზე ეკონომიკური და ტექნიკური ეფექტიანობის ზრდა მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალებებია.

წარმოების ფაქტორთა ცალკეული ელემენტების შედეგიანობას კერძო მაჩვენებლებით ზომავენ. ისინი შრომისა და კაპიტალის მიმდინარე და ერთდროული დანახარჯების შედეგიანობას ასახავენ. ეფექტიანობის სინთეზური მაჩვენებლებით რამდენიმე ერთგვაროვანი დანახარჯების შედეგიანობა განისაზღვრება. ასეთია, მაგალითად, თვითღირებულების და მთლიანი დაბანდებული კაპიტალის ჯამური ეფექტიანობის მაჩვენებლები.

კრიტერიული ეფექტიანობა წარმოების ყველა ფაქტორის ერთობლივ შედეგიანობას ასახავს. ასეთი მაჩვენებლის გამოყენების აუცილებლობა იმითაა გამოწვეული, რომ საკმაოდ ხშირად ეფექტიანობის მაჩვენებელთა ერთი ჯგუფი სხვა მაჩვენებლების გაუარესების ხარჯზე უმჯობესდება, რაც, შესაძლოა, სავსებით კანონზომიერი მოვლენა იყოს. ამ შემთხვევაში პასუხს კითხვაზე, თუ რა მოსდის მთლიანად წარმოების ეფექტიანობას როგორც მაკროეკონომიკის მასშტაბით, ისე ბიზნესის დონეზე, მხოლოდ კრიტერიული ეფექტიანობის მაჩვენებელი იძლევა. ამ საკითხს მომდევნო სტატიაში დეტალურად განვიხილავთ.

ANNOTATION

EFFICIENCY, THE SHORTEST WAY TO THE HEIGHT OF SUCCESS IN BUSINESS

A. Sisvadze
Doctor of Economy

Efficiency is the most realistic way to gain maximum profit, which is the chief goal of business. All other means are restricted by severe laws of production and market and are virtually impracticable. Under such circumstances, efficiency is the magic wand with the help of which it is possible to open all the doors leading to succesfull business. However, this is feasible only based on a thorough study of the nature of efficiency as a category.

In its essence this category reflects the condition of business operations, whilst as a fact it displays the quantitative relative indices of effectiveness of production factors. The economic category of efficiency, as a combination of qualitative and quantitative sides, determines the extent at which the main goal of business is achieved and thus represents a kind of standard for measuring the progress.

A rapid growth of effectiveness of business is possible only through a progressively developing economy, which can ensure prosperity and a high level of the population's material, social and spritual welfare. On the other hand, a low level of efficiency, particularly the tendency of its reduction, is sure to lead to complete destruction of economy and social and political chaos. When a particular economic system exhausts the possibilities of effective growth of production, such system ceases to exist.

The objective necessity of raising the effectiveness of production has existed in all historical periods, which is conditioned by the operation of the law of growing demands under the conditions of limited production factors and technical means. The objective necessity of the growth of economic effectiveness is to a great extent determined by the competition factor, which implies a conflict of economic interests not only between the representatives of different classes, but also within the same classes. In this regard, the history of human kind is the history of a struggle for appropriating the profit. As long as the reasons for the growth of effectiveness of business will sustain in future, that issue will always be among the constant problems of the economic science.